**ხელშეკრულება № 49**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

**ქ. გორი** **24 აპრილი 2019 წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო" (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი მენეჯერის ლიანა კოვზიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ზუმეილი" ს/კ 218079683 (შემდგომში - „მიმწოდებელი"), მისი წარმომადგენელი დირექტორის ზურაბ გაბრიელიძიე, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია: ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის წესით ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო"-ს, გამოყოფილი სახსრებით სოფ.ტირძნისში, სოფ, ქიწნისში და #17 ბაღებში მაგიდების შეკეთების მომსახურების შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

**2. შესყიდვის ობიექტი**

**2.1** შესყიდვის ობიექტია: სოფ.ტირძნისში, სოფ, ქიწნისში და #17 ბაღებში მაგიდების შეკეთების მომსახურების შესყიდვა.

**2.2** CPV კოდი- 50850000

**3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება არის – 600 (ექვსასი) ლარი, დ.ღ.გ-ს საშემოსავლოს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

**4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადით.

5.2. მიწოდების ადგილია: სოფ.ტირძნისი, სოფ.ქიწნისი,#17 ბაღი.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების განხორციელების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება - ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირ(ებ)ია 14.2 მითითებული პირი.

**7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი**

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

**8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს: - შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია: -მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; - უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

**9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

**10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით.

**11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**12. ფორს-მაჟორი**

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი - მარიკა საძაგლიშვილი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**15. სხვა პირობები**

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

**16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

---

| **შემსყიდველი** | **მიმწოდებელი** |
|---|---|
| ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო | შპს ზუმეილი |
| ს.კ.: 418471022 | ს.კ.:218079683 |
| მის.: ქ.გორი, სტალინის გამზ.#16 | მის.: ქ.გორი, ცხინვალის გზ.#8 |
| ბანკი: ეროვნული ხაზინა | ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ |
| ბანკის კოდი: TRESGE22 | ბანკის კოდი: TBCBGE22 |
| ელ.ფოსტა: saagento18@gmail.com | ა.ა.: GE38TB7698936050100001 |
| მენეჯერი: ლიანა კოვზიაშვილი | დირექტორი:ზურაბ გაბრიელიძე |
| Liana Kovziashvili Digitally signed by Liana Kovziashvili Date: 2019.04.24 17:14:59 +04'00' | Zurab Gabrielidze Digitally signed by Zurab Gabrielidze Date: 2019.04.24 09:24:41 +04'00' |

## ა(ა)იპ - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

**თარიღი: 23 აპრილი** 2019 წ.

**მიმწოდებელი: შპს „ზუმეილი“** (218079683)

**ხელშეკრულება:** N-49

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების“ **მე-5 მუხლის ,,ინტერესთან კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“ შესაბამისად** ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს“ სამსახურის თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

მენეჯერი ლ. კოვზიაშვილი

მატერიალურ ტქნიკური უზრუნვ.სპეციალისტი Marika Sadzaglishvili Digitally signed by Marika Sadzaglishvili Date: 2019.04.24 17:43:17 +04'00' მ. საძაგლიშვილი

შესყიდვების მთ.სპეციალისტი Lekso Martinov Digitally signed by Lekso Martinov Date: 2019.04.24 09:26:19 +04'00' ლ.მარტინოვი